ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, კომორბიდულობა და დახმარების ბარიერები ილიაუნის სტუდენტებში

ანა ჯორბენაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ანა ჯორბენაძე

30.06.2022

აბსტრაქტი

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სტუდენტებში მაღალი პრევალენტობით ხასიათდება. სტუდენტური სტრესი, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც უკვე არსებული ფსიქიკური აშლილობის გამწვავების, ასევე ახლად აღმოცენებული მდგომარეობის წინმსწრები ფაქტორი. ამ საკითხის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოვიდ პანდემიის პირობებში, რადგან სტუდენტურ სტრესს ემატება პანდემიის თანმდევი სტრესორებით გამოწვეული გავლენა, რაც ნეგატიურად აისახება აღნიშნული ჯგუფის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

პანდემიასთან დაკავშირებული ტვირთი დიდწილად მოდის ახალგაზრდებზე. მაღალია ისეთი აშლილობების პრევალენტურობა, როგორიცაა ადაპტაციის აშლილობა, შფოთვა და დეპრესია.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქართველ სტუდენტებში კომორბიდულობის პრევალენტობის განსაზღვრა და დამარებების ბარიერთა შესწავლა, რაც ხელს უშლით მათ მიიღონ მკურნალობა, რომელსაც საჭიროებენ.

კვლევის შედეგებმა ანახა, რომ სტუდენტებში მაღალია კომორბიდულობა ადაპტაციის აშლილობას, დეპრესიასა და შფოთვას შორის. გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ასოციაციური კავშირი დახმარების ბარიერებს, დეპრესიასა და შფოთვას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სტუტენტებში; დახმარების ძიების ბარიერები სტუდენტებში; კომორბიდულობა სტუდენტებში;